აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2020 წლის 6 თვეში გატარებული ღონისძიებების შესახებ

2020 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 3

ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვ.წილი რეგიონების მიხედვით 3
დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა ხვ.წილი განსახლების სახის მიხედვით 01.07.2020 3
ცხრილი N 3 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2020/6 თვე-2019/6 თვე რეგიონების მიხედვით 4
ცხრილი N 4 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 5
ცხრილი N 5 აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგირებზე გაცემული ერთჯერადი მატერიალური დახმარება კატეგორიების მიხედვით. 2020 /6 თვე 5
ცხრილი N 6 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ 6

სოციალური სფერო 9

ჯანდაცვა 9

ცხრილი N 7 გასვლითი სამედიცინო ღონისძიებები 11
ცხრილი N 8 სამინისტროს მიერ 2020 წლის I ნახევარში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება 12

განათლება, კულტურა, სპორტი 13

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა 15

ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის 16

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 17

ცხრილი N 9 აფხაზეთის ა/რ 2020 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 18
დიაგრამა N 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2020/6 თვე 18
ცხრილი N 10 აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2020/6თვე . 19

ეკონომიკის სფერო 19

ბიზნეს სექტორი 19

დიაგრამა N 3 საშუალოთვიური ხელფასების შედარება 2020/6 თვე-2019/6თვე 20

პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 20

დიაგრამა N 4 პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2020/6თვე-2019/6თვე 20
დიაგრამა N 5 გამომუშავებული ელექტროენერგია 2020/6თვე-2019/6თვე 21

ქონების მართვა და პრივატიზება 21

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების მართვა 22

ცხრილი N 11 საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2020/6თვე-2019/6თვე 24

სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“ 26

აგრარული სფერო 26

გეოლოგია და გარემოს დაცვა 31

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2020 წლის I ნახევრის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2020 წლის 1 ივლისისათვის ***აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს*** მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 249 254-ს.

ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 01.07.2020

N	რეგიონი	რაოდენობა, პირი	ხვ. წილი,%	კოლექტიური ცენტრი
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***249254***	***100***	***518***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**122602**	**49,2**	**136**
3	ქ. თბილისი	105592	42,4	103
4	ქვემო ქართლი	10085	4,0	12
5	შიდა ქართლი	2389	1,0	13
6	მცხეთა-მთიანეთი	957	0,4	1
7	კახეთი	1311	0,5	5
8	სამცხე-ჯავახეთი	2268	0,9	2
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126652**	**50,8**	**382**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	90085	36,1	308
11	აჭარა	7524	3,0	-
12	იმერეთი	27723	11,1	65
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	754	0,3	9
14	გურია	566	0,2	-

კომპაქტურად ჩასახლებულიიყო 19 655 (7,9%), ხოლო კერძო სექტორში – 229 599 პირი (92,1%).

დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 01.07.2020



ცხრილი N 2 კერძო სექტორსა და კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 01.07.2020

N	რეგიონი	კერძო სექტორი	კომპაქტ. განსახლებული
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***229599***	***19655***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**118056**	**4546**
3	ქ. თბილისი	101860	3732
4	ქვემო ქართლი	9717	368
5	შიდა ქართლი	2275	114
6	მცხეთა-მთიანეთი	942	15
7	კახეთი	1273	38
8	სამცხე-ჯავახეთი	1989	279
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**111543**	**15109**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	79785	10300
11	აჭარა	7524	-
12	იმერეთი	23048	4675
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	620	134
14	გურია	566	-

2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 3 575 პირით ანუ 1,5%-ით.

ცხრილი N 3 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2020/6 თვე-2019/6 თვე რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	2020/6 თვე	2019/6 თვე	+/-
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***249254***	***245679***	***3575***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**122602**	**120468**	**2134**
3	ქ. თბილისი	105592	103966	1626
4	ქვემო ქართლი	10085	9800	285
5	შიდა ქართლი	2389	2316	73
6	მცხეთა-მთიანეთი	957	889	68
7	კახეთი	1311	1245	66
8	სამცხე-ჯავახეთი	2268	2252	16
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126652**	**125211**	**1441**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	90085	89384	701
11	აჭარა	7524	7303	221
12	იმერეთი	27723	27239	484
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	754	758	-4
14	გურია	566	527	39

2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით აფხაზეთიდან იგპ-თა შორის სოციალურად დაუცველი იყო სულ 42 993 პირი, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა - 13 642.

ცხრილი N 4 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	სოციალურად დაუცველი	მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***42993***	***13642***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**19180**	**6468**
3	ქ. თბილისი	15705	5343
4	ქვემო ქართლი	2031	697
5	შიდა ქართლი	534	180
6	მცხეთა-მთიანეთი	120	31
7	კახეთი	304	89
8	სამცხე-ჯავახეთი	486	128
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**23813**	**7174**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	16934	5422
11	აჭარა	1022	305
12	იმერეთი	5473	1366
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	253	49
14	გურია	131	32

საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდა 22 869 ოჯახს (63 439 პირი), რაც 1 207 ოჯახით ანუ 5,6%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლზე.

აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიების მიერ მატერიალური (ფულადი) დახმარება გაეწია 1 050 ოჯახს (3503 პირი) სულ 262 800 ლარის ოდენობით.

ცხრილი N 5 აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგირებზე გაცემული ერთჯერადი მატერიალური დახმარება კატეგორიების მიხედვით. 2020 /6 თვე

ლარი

კატეგორიები	თბილისი	ქუთაისი	ზუგდიდი	*საქართველო სულ*
მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები	900,0	300,0	-	***1 200,0***
მკვეთრად გამოხატული შშმ პირები	22 200,0	13 950,0	21 900,0	***58 050,0***
მარჩენალდაკარგულები	33 300,0	7 800,0	5 250,0	***46 350,0***
დედ-მამით ობოლი არასრულწ.	300,0	300,0	150,0	***750,0***
ოთხ და მეტ არასრლუწ.ოჯახები	4 500,0	3 150,0	7 650,0	***15 300,0***
100 წელს გადაც. მოქალაქეები	600,0	-	750,0	***1 350,0***
ბავშვობიდან ინვ. და უნარშეზღ. ბავშვები	16 200,0	9 450,0	12 000,0	***37 650,0***
სხვა მძიმე სოც.მდგომარეობაში მყოფი ოჯახები	74 850,0	14 050,0	13 250,0	***102 150,0***
დახმარება სულ	***152 850,0***	***49 000,0***	***60 950,0***	***262 800,0***

2020 წლის I ნახევარში აფხაზეთის ა/რ 56 საბიუჯეტო ორგანიზაციიდან 25 ფინანსდებოდა აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, 26 – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 5 ორგანიზაცია იყო არასამეწარმეო.

ცხრილი N 6 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ

დაფინანსება	დასაქმებული პერსონალი	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	საშ. თვ. შრომის ანაზღ.
	კაცი	ათასი ლარი	ლარი
აფხაზეთის რესპ. ბიუჯეტიდან	934	5 896,6	1 052,2
საქართველოს ბიუჯეტიდან	1 242	6 110,8	820,0
სულ	***2 176***	***12 007,4***	***919,7***

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ:

- მომზადდააფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტის 20 პროექტი და შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში;
- უზრუნველყო 25 ნორმატიული აქტის პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება, აფხაზეთის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენა და სამართლებრივი ხასიათის დასკვნების მომზადება;
- აფხაზეთის ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით, კომუნიკაცია დამყარდა სსიპ - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან“, უზრუნველყოფილ იქნა გამოსაქვეყნებელი ნორმატიული მასალის შემოწმება, გამოქვეყნებაზე უარის თქმის საფუძვლების აღმოჩენა-გამოსწორება და კანონით დადგენილ ვადებში და წესით დოკუმენტების მაცნეში გადაგზავნა-გამოქვეყნება. 2020 წლის პირველ-მეორე კვარტალში სულ გამოქვეყნდა აფხაზეთის მთავრობის 21 დადგენილება და მინისტრის 8 ბრძანება;
- მინისტრის აპარატში დაცული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, შეიქმნა 2004-2020 წლებში გამოქვეყნებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების სტატისტიკური მონაცემების სრული ბაზა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, 2020 წლიდან მინისტრის აპარატის აქტიური მონაწილეობით, მაცნეს ვებგვერდზე დამატებით აღდგენილ იქნა 2011 წლამდე გამოცემული აფხაზეთის მთავრობის ის დადგენილებები, რომლებიც ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს პროექტების მომზადების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე, სოციალურ ქსელებსა და რუსულენოვანი მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. მომზადდა სტატიები, რომლებიც ეყრდნობოდა

ღია წყაროებს და მასში ასახულ იქნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაფიქსირებული ადამიანის უფლებების ისეთი უხეში დარღვევები, როგორიც არის სიცოცხლის უფლების ხელყოფა, უკანონო დაკავებები, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, საკუთრების უფლების ხელყოფა, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა და სხვა. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის გარდა, მოძიებულ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი ეროვნების ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაციებიც. გარდა ამისა, მოძიებულ და დამუშავებულ იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართველთა უძრავი ქონების გაყიდვის საკითხი;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. ახალი პასპორტის მიღებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებული საკითხები;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბიტურიენტთათვის რუსეთში განათლების მიღების საკითხი;
- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად ლიცენზიის გაცემისა და ბინადრობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები.

პერიოდულად ითარგმნებოდა უცხოელი ექსპერტების და ანალიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული უცხოენოვანი ანალიტიკური სტატიები.

მიმდინარეობდა თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოვლენილი ადამიანის უფლებათა პრობლემატური საკითხების შესწავლისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირების მიზნით. მინისტრის აპარატსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს შორის გაიმართა შეხვედრა, სადაც გადაწყდა თანამშრომლობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილთა სხვადასხვა პრობლემატურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით, მინისტრის აპარატის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საქმიანობად განსაზღვრული იყო სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით აფხაზეთის ა/რ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია, რომელსაც მინისტრის აპარატი ახორციელებდა გრძელვადიანი პროგრამით „სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება“. პროგრამა შედგება რამდენიმე ქვეპროგრამისაგან:

- *ქვეპროგრამა „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი კვირეული“*

ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდა ლიდერების მომზადება, რომლის ფარგლებშიც დევნილთა ჩასახლებებში იქმნება სამოქალაქო ჩართულობის ახალგაზრდული ცენტრები (პირველ ეტაპზე 3 ცენტრი), რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, მათ ინტეგრაციას, ურთიერთობების გაღრმავებას, მიღებული ცოდნით და უნარ-ჩვევებით შესაძლებლობების გაცნობიერებას და საკუთარი თავის რეალიზებას. სამოქალაქო ჩართულობის ცენტრებში მომზადებული ახალგაზრდები წარმოადგენენ სამშვიდობო რესურსს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. პირველი ცენტრი ჩამოყალიბდა გალის რაიონში, სადაც განათლებას მიიღებს 14-დან 28 წლამდე

ასაკის ოცდაათამდე ახალგაზრდა, ხოლო ზუგდიდისა და ბათუმის ცენტრებში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაწილეთა შერჩევის პროცედურები, აგრეთვე სხვა სახის მოსამზადებელი სამუშაოები;

- *ქვეპროგრამა „მშვიდობის ლაბორატორია, ნდობის აღდგენისა და შერიგების რესურსები“*

ქვეპროგრამის მიზანია სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით დისკუსიების, კონფერენციების, ტრენინგების და სასწავლო კურსების ორგანიზება. ინოვაციური მიდგომების მხარდაჭერა, ქართული და აფხაზური საზოგადოების აკადემიური პერსონალის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა და დიასპორების როლის გააქტიურება ნდობის აღდგენის, შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ეთნიკურად აფხაზ ხელოვანთა მიერ შექმნილი სრულმეტრაჟიანი ფილმის პრეზენტაცია;
- საერთაშორისო პროექტი ,,დიასპორები ერთიანი საქართველოსთვის, სახალხო დიპლომატიის როლი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში“. პროექტის განხორციელების ლოკაციები იყო ამსტერდამი, ჰააგა (ნიდერლანდების სამეფო), ბრიუსელი, ბელგია;
- აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები.

- *ქვეპროგრამა „დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“.*

ქვეპროგრამის მიზანია ქართველი „ახალგაზრდა ელჩების“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაცია, საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის შექმნა, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. საქართველოს ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირების მიზნით ერთწლიანი მანდატით შეირჩა 22 ახალგაზრდა ელჩი.

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა“ და მოქმედი სამთავრობო პროგრამებით განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში, გაფორმდა მემორანდუმი საერთაშორისო ორგანიზაციასთან „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის“, მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ორგანიზაციებთან:

- ა(ა)იპ „საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“;
- ა(ა)იპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობა“;
- ა(ა)იპ „ჯადოსნური ხმები“;
- ა(ა)იპ „სულიერების ცენტრი“;
- აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობოდან გამომდინარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურებს მოუხდა სერიოზული კორექტივების შეტანა მუშაობის დღის წესრიგში. თანამშრომლების ნაწილი გადაყვანილ იქნა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე. შემუშავდა კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გეგმა. სამუშაო ფართებზე ჩატარდა რეკომენდირებული სადეზინფექციო სამუშაოები, თანამშრომლები უზრუნველყოფილ იყვნენ სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით, პირბადეებით და ხელთათმანებით. შემოღებულ იქნა თანამშრომელთა ყოველდღიური თერმოსკრინინგი.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2020 წლის I ნახევარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა* მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

➢ <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი</u> ითვალისწინებდა გამოკვლევას კომპიუტერულ ტომოგრაფზე კონტრასტით, რომლის სკანერი არანაკლებ 128 შრიანი სისტემაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 56 470 ლარიდა მოიცავდა 350 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდაშპს ,,რეგიონულ ჰოსპიტალში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6თვე	98	128	22 034,0

➢ <u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი</u> ითვალისწინებდა გამოკვლევის ჩატარებას ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე, რომლის მაგნიტური ველის ინდუქტივობა არანაკლებ 3 ტესლაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 207 650,0 ლარიდა მოიცავდა 800 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდაშპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	181	212	54 540,0

➢ <u>ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტი</u> ითვალისწინებდა თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ციფრულ რენტგენოგრაფიას, ელექტროენცეფალოგრაფიას, ართროექოსკოპიას და ულტრაბგერით დენსიტომეტრიას. ბიუჯეტმა შეადგინა 20 800,0 ლარი და მოიცავდა 398 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდაშპს ,,ავერსის კლინიკაში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	55	62	3 515,0

➢ <u>ენდოსკოპიური გამოკვლევის კომპონენტი</u> ითვალისწინებდა ეზოფაგოდუოდენოსკოპიას, კოლპოსკოპიას, კოლონოსკოპიას. ბიუჯეტმა შეადგინა 18 877,0 ლარი და მოიცავდა 171 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდასს ,,ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	34	38	4 501,86

➢ <u>სარეაბილიტაციო მკურნალობის კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 27 720,0 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა თბილისის ბალნეოლოგიურმა კურორტმა.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	28	288	2 256,0

➢ <u>სისხლის მიმოქცევის სისტემის სკრინინგული გამოკვლევების კომპონენტი</u> ითვალისწინებდა ექიმ-კარდიოლოგის კონსულტაციას და ექოკარდიოგრაფიას, სრული ლიპიდური სპექტრის განსაზღვრას, 24-საათიანი ეკგ მონიტორინგს და ფიზიკური დატვირთვის სინჯს-ტრედმილს. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25 850,0 ლარით და მოიცავდა 570 ეპიზოდის დაფინანსებას. ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსი“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	30	41	1 997,0

➢ <u>აბილიტაციის კომპონენტის</u> მიზანს წარმოადგენდა მენტალური განვითარების დარღვევის მქონე ბავშვთა მაქსიმალური სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების დამოუკიდებელ და აქტიურ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობის ფორმირება. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 40 000,0 ლარით. ელექტრონული ტენდერის შედეგად გაიმარჯვა ააიპ ,,სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრმა აისი“. ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო პროგრამის განხორციელება დროებით შეჩერდა.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხორებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა* წარმოდგენილი იყო 2 კომპონენტით:

➢ <u>კორონარული ანგიოგრაფიის კომპონენტის</u> ბიუჯეტმა შეადგინა 35 000,0 ლარი და მოიცავდა 70 ეპიზოდის დაფინანსებას. ელექტრონული ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს ,,ავერსის კლინიკა“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	8	4 000,0

➢ <u>მენჯ-ბარძყის ენდოპროთეზირების კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 60 750,0 ლარით და ითვალისწინებდა 15 ეპიზოდის დაფინანსებას. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს ,,ნიუ ჰოსპიტალსი".

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	1	4 050,0

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის* მიზანია ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა და დევნილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 60 000 ლარს, მათ შორის მედიკამენტების შესყიდვაზე გათვალისწინებული იყო 45 000 ლარი.

ცხრილი N 7 გასვლითი სამედიცინო ღონისძიებები

რეგიონი	გასინჯულ ბენეფიციართა რ-ბა	ვიზიტი
მესტია	262	800
ჭუბერი	115	400
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი	**377**	**1200**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში, ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, შეუძლებელი გახდა წლის განმავლობაში დაგეგმილი პროფსამედიცინო გასინჯვების ჩატარება თბილისსა და რეგიონებში. ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის" მედიკამენტებით უზუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტში გასვლითი ღონისძიების შემდეგ, სამინისტროში ნაშთის სახით დარჩენილი კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდულ მედიკამენტებს დაემატა ჰუმანიტარული გზით მიღებული მედიკამენტები. მიზანშეწონილად ჩაითვალა, შესაძლებლობის ფარგლებში, აფხაზეთიდან დევნილებსდახმარებაგაწეოდა ინდივიდუალურად, მათ მიერ შემოტანილი ფორმა IV-100/ა-ს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთიდან დევნილი 56 პირი დაკმაყოფილდა მედიკამენტებით.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა*

,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის საფუძველზე, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დამატებით გამოყოფილ იქნა 230 000,0 ლარი მიზნობრივად გამოყენებისთვის, საიდანაც 130 000,0 ლარი მიმართულ იქნა ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და დამცავი აღჭურვილობის შეძენა" კომპონენტის პროგრამის რეალიზაციისათვის.

პროგრამა წარმოდგენილი იყო შემდეგი კომპონენტებით:

➢ <u>ჰოსპიტალური მომსახურებისა და ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების ხელშეწყობის პროგრამის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 225 000,0 ლარით.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	316	175 823,06

➢ <u>ონკოპაციენტებისათვის არაკლასიფიცირებული მედიკამენტებით თანადაფინანსების კომპონენტის პროგრამის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 60 000,0 ლარით.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	36	47 629,40

➢ <u>რადიო (სხივური) და ქიმიოთერაპიის თანადაფინანსების კომპონენტის პროგრამის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 47 000,0 ლარით.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2020/6 თვე	84	40 359,0

➢ <u>სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და დამცავი აღჭურვილობის შეძენა.</u>პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 130 000,0 ლარით. COVID-19 ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით შეძენილიქნა 11738,05 ლარის ღირებულების სამედიცინო დანიშნულების საგნები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროგრამა* ითვალისწინებს სამედიცინო პერსონალისათვის მედიცინის თანამედროვე მიდგომების თეორიული და პრაქტიკურლი უნარ-ჩვევების სწავლებას. ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელება დროებით შეჩერდა.

ცხრილი N 8 სამინისტროს მიერ 2020 წლის I ნახევარში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება

ბენეფ. რაო-ბა სულ	ჯანდაცვითი პროგრ. ფარგლებში	პროფსამედიცინო გასინჯვები	მედიკამენტებით დახმარება	სოც. მხარდაჭერის პროგრ. ფარგლებში
1 347	435 (778ეპიზოდი)	377	54	272

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებას წარმოადგენდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებელი რეაგირება.

2020 წლის I ნახევარში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დახმარებისათვის მიმართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 316 პირმა (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 25 დევნილმა (საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოქმობის მქონე). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომისიის ოქმით დაფინანსდა 340 ბენეფიციარი. რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 5-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად (სულ 12 პირი). თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესის“ (მინისტრის ბრძანება №46, 19.02.2016წ.) შესაბამისად.

განათლება, კულტურა, სპორტი

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- *სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემის გაუმჯობესება*

წლის საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა აფხაზეთის საჯარო სკოლების და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ წარმოდგენილი ოკუპირებული გალის რაიონის 30 სკოლის განაცხადი.

სკოლა	სამუშაო	თანხა, ლარი
სსიპ აფხაზეთის N5 საჯარო სკოლა	სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა	1 227,10
	იატაკის შეცვლა	2 082,0
სსიპ აფხაზეთის N11 საჯარო სკოლა	იატაკის საფარის შეძენა	1 650,0
სსიპ აფხაზეთის N2 საჯარო სკოლა	დერეფნის იატაკის რეაბილიტაცია	8 000,0
სსიპ აფხაზეთის N6 საჯარო სკოლა	ეზოს ასფალტის საფარის რეაბილიტაცია	810,50
სსიპ აფხაზეთის N7 საჯარო სკოლა	რესურსოთახის კეთილმოწყობა	2 690,0
სსიპ აფხაზეთის N15 საჯარო სკოლა	ჭიშკრის შეძენა	2 600,0

- *წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში, განხილულ იქნა 122 განცხადება. განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 92წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან;

- დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია

სტუდენტი	უმაღლესი სასწავლებელი	სტიპენდია
ერეკლე ჭულუხაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-6 სემესტრის სტუდენტი	ჟიული შარტავას სახელობის
გიორგი აფხაზავა	სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის,ისტორიის სამაგისტრო	ჟიული შარტავას სახელობის

	პროგრამის მე-2სემესტრის სტუდენტი	

- *აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა*

დაფინანსდა აფხაზეთის საჯარო სკოლების აფხაზური ენის პედაგოგები.

- *გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის 9 საბავშვო ბაღის, 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 184 ბენეფიციარი - 90 პედაგოგი, 94 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

- *სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა*

დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

	შინაარსი
ა(ა)იპ ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება“	ძალისმიერი სპორტის შეჯიბრი ,,აფხაზეთი საქართველოა“
ა(ა)იპ ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება“	ძალისმიერ სამჭიდში მსოფლიო თასის გათამაშებაზე დევნილის სპორტსმენისმგზავრობა
ააიპ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციისთვის	სპორტის ოსტატის ალექსი ილიადის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიების ჩატარება

აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, ახალი კორონავირუსის (COVID – 19) გავრცელების პრევენციის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით რესპუბლიკურ ბიუჯეტში მოძიებულ იქნა 1 006 000 ლარი.

COVID–19გავრცელების პრევენციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემდგომ ეტაპზე ამ მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებებისათვის სამინისტრო აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური რესურსის (სპეციალური ტრანსფერი) გამოყოფის თაობაზე. „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რეპუბლიკური ბიუჯეტს დამატებით გამოეყო 1 000 000 ლარი.

კორონავირუსის COVID-10 გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შემდგომი ეტაპისა და პოსტპანდემიური პერიოდისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო გეგმა-პროექტების ჩარჩოებში, სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციები აგრძელებდნენ მუშაობას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში. დაიგეგმა სამედიცინო პროფილაქტიკური გასვლები დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში. ამ მიზნით ჩამოყალიბდა 6 სამედიცინო მუშა ჯგუფი - 2 თბილისში, 2 იმერეთში, 2 სამეგრელოში. გრძელდებოდა მუშაობა რისკ ფაქტორების მქონე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი ბენეფიციარების ერთიანი ბაზის შესაქმნელად პოსტპანდემიურ პერიოდში მათთან აქტიური სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად.

ქვეყანაში გამოცხადებული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ,,დევნილთა საარსებო წყაროების

პროექტებისა და პროგრამების მხარდამჭერი სააგენტოს“ მიერ ინიცირებული 5 ახალი პროექტის წარმატებით განსახორციელებლად, რომელიც დაფინანსდა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და ითვალისწინებდა სასათბურე მეურნეობების მოწყობას სამეგრელოსა და შიდა ქართლში, სიმინდის მოყვანას, დაფნის საამქროს მოწყობას, მოცვის სადემონსტრაციო პლანტაციის გაშენებას. თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს (Tika Tiflis) მხარდაჭერით დასრულდა ვაზიანის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე პურსაცხობის და სოციალური დარბაზის მშენებლობა. ამ ობიექტებზე დასაქმებულ იქნა აფხაზეთიდან დევნილი 10-მდე თანამემამულე. Tika Tiflis მხარდაჭერით 2020 წელს დაგეგმილია ახალი პროექტების განხორციელება.

აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატისდა ასევე, მასთან ერთობლივად დაფუძნებული ა(ა)იპ ,,საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ საქმიანობა.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა

პალატის საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერა;
- ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნა;
- კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა;
- საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- ოკუპირებული აფხაზეთის გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის თანამშრომლობისა და ნდობის მშენებლობისათვის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერა;
- პანდემიის პირობებში მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, ბიზნესის არსებულ გარემოსთან ადაპტაცია და შემდგომი განვითარება;
- კვლევა ახალი კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით;
- მეწარმეებისათვის ახალი ბიზნესიდეებისა და მზა პროექტების შეთავაზება ახალი ბიზნესების წამოწყებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით.

პალატა თანამშრომლობდა აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ბიზნეს გაერთიანებებთან და არასამთავრობო სექტორთან, უზრუნველყოფდა გამოფენებში დევნილების მონაწილეობას. თბილისის მერიის დახმარებით დაეხმარა აფხაზეთიდან დევნილ მეწარმეებს მონაწილეობა მიეღოთ საახალწლო სოფლის ბაზრობაში, სადაც იგპ-ებმა შეძლეს წარმოდგენილი ხელნაკეთი პროდუქციის რეალიზაცია.

ალტერნატიული ფინანსური წყაროების მოძიების მიზნით პალატა მეწარმეებსა და დევნილებს უწევდა ბიზნეს კონსულტაციებს, ეხმარებოდა ბიზნეს გეგმების შედგენასა და საგრანტო კონკურსებში პროექტების წარდგენაში, უზრუნველყოფდა მეწარმეთა მონაწილეობას ტრენინგებსა და სემინარებში. გაფორმდა მემორანდუმები:

- იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატთან;
- შპს ,,ბიზნეს ვენიუსთან“;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან - დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებულ საწარმოებში.

ჩატარდა ერთობლივი ტრენინგები:

- საგანმანათლებლო პროექტის ,,დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს დამსაქმებლეთა ასოციაციასთან, სააგენტო ,,აწარმოე საქართველო“, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების საგენტოსთან, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით;
- ,,მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური აღრიცხვის სტანდარტები“ - იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ჩართულობით.

ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებული კრიზისული სიტუაციიდან გამომდინარე, პალატამ დაიწყო მუშაობა ბიზნეს გეგმაზე - აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების საქმიანობის მხარდჭერის მიზნით ინტერნეტ მაღაზიის შექმნა, რათა პანდემიის პირობებში არ შეფერხდეს მეწარმეთა ეკონომიკური საქმიანობა. მეწარმეები შეძლებენ გაყიდვების ახალი არხის ათვისებას, რაც დისტაციურად დააკავშირებს მათ მომხმარებელთან.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა ჩაერთო საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ დაწყებულ კვლევაში ბიზნესშიCOVID-19-ით გამოწვეული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. გამოიკითხა აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების მიერ დაფუძნებული 100-მდე კომპანიის წარმომადგენელი.

გარდა ამისა, პალატა მეწარმეებს სთავაზობს ახალ ბიზნეს იდეებსა და მზა პროექტებს:

- ერთჯერადი ლატექსის ხელთათმანების წარმოება;
- სასათბურე მეურნეობის შექმნა;
- ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ავთენტური ვაზის ჯიშების მოძიება, აღდგენა და პოპულარიზაცია.

ა(ა)იპ საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისათვის

ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:

- დევნილთა დახმარება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში;
- საერთაშორისო ინსტიტურებისა და ადგილობრივ ორგანიზაციებში არსებული ინიციატივების, გამოცხადებული გრანტების, პროგრამებისა და სხვა შესაძლებლობების მოძიება და შესწავლა შემდგომში ორგანიზაციის საქმიანობაში გათვალისწინების მიზნით;
- საჭიროების მქონე პირთათვის სოციალური და ჰუმანიტარული სახის მხარდაჭერა;
- საერთაშორისო დონეზე არაღიარების პოლიტიკის გაძლიერება და მხარდაჭერა.

2020 წლის I კვარტალში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობა:

- შეიქმნა ორგანიზაციის ვებ-გვერდი www.iids.ge, სადაც შესაძლებელია განაცხადების შევსება და გადმოგზავნა ავტომატურ რეჟიმში
- შეიქმნა სოციალური გვერდები ფეისბუქის, ინსტაგრამის, ტვიტერის და ლინქდინის ონ-ლაინ პლატფორმებზე
- შემუშავდა და დამტკიცდა 3 პროგრამა შესაბამისი ქვეპროგრამებით:
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა;
  - მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდის 2020 წლის ქვეპროგრამა;
- განათლების ხელშეწყობის პროგრამა
  - განათლების ხელმწისაწვდომობის ზრდის 2020 წლის ქვეპროგრამა;
- საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა
  - ბიზნესის ხელშეწყობის 2020 წლის ქვეპროგრამა.

    შემუშავდა დებულებები, აპლიკაციის ფორმები;

- შემუშავდა და დაინერგა განცხადების მიღების ეფექტური ელექტრონული, ვებზე დაფუძნებული პროგრამა; ორგანიზაციის ვებგვერდის საშუალებით შემოვიდა განცხადებები;
- შეიქმნა და დამტკიცდა მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა, მისი მუშაობის წესი და თითოეული პროგრამის ფარგლებში განაცხადების განხილვის კრიტერიუმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- მოპოვებულ იქნა უფლება აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილების მისაღებად. ფონდს მიენიჭა რეგისტრაციის ნომერი (ე.წ. SAM Number). ანალოგიურად ფონდი გადის შესაბამის პროცედურებს ევროკავშირის გრანტების მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად Pador სისტემაში;
- კვლევა აფხაზეთიდან დევნილ ქალბატონთა (მათ შორის შშმ პირთა) საჭიროებების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ჯანმრთელობის და ფსიქოლოგიური მდგომარეობის, შესწავლის მიზნით
- კონსულტაციები მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის და განათლების ხელშეწყობის პროგრამის სუბსიდიარებს შორის
- 86 პირს ჩაუტარდა სამართლებრივი კონსულტაცია და სწორი ინფორმირება საჭირო პრობლემურ საკითხებზე;
- ორგანიზაციის ბიუჯეტიდან, დევნილთა ჯანმრთელობის დაცვისა და ავადობის პრევენციის მიზნით, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, შეძენილ იქნა 25 000.0 ლარისსამედიცინო მასალები და აფხაზეთის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით დროულად გადაეცა სამედიცინო დაწესებულებებს, მედპერსონალს და მოსახლეობას.

დასახელება	რაოდენობა, ერთეული
დისტანციური თერმომტერი	35
დამცავი ფარი	100
სამედიცინო ხელთათმანი	50
კომბინიზონი	30
ბახილები	2000
ქუდი	3000
ხელის სადეზინფექციო საშუალება	300
მაგიდის ხსნარი შესასხურებელი (5 ლიტრი)	90

საანგარიშო პერიოდში ფონდი თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან - BEARRTsust, ევროპის ფონდი, ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამა, არბაითერ-სამარიტერბუნდი საქართველო (ASB), ევროკავშირი ENPARD, ქეა ავსტრია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2020 წლის I ნახევარშიშეადგინა სულ 9 068,94ათასი ლარი, რაც გეგმის (8 303,41 ათასი ლარი) 109,22%-ია.

ცხრილი N 9 აფხაზეთის ა/რ 2020 წლის 6 თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური გეგმა	შესრულება%-ში
შემოსავლები	8303.41	9068.94	109.22
გადასახადები	4148.41	4938.11	119.04
გრანტები	4000.0	4000.0	100.0
სხვა შემოსავლები	155.0	130.83	84.40

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროები იყო ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითმა წილმა შემოსავლების საერთო მოცულობაში 44.1 % (4 000,0 ათასი ლარი) და 54,5 % (4 938,11 ათ. ლარი) შეადგინა. შესაბამისად, აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98.6 პროცენტია. სხვა შემოსავლებმა შეადგინა 1.4 პროცენტი (130.83 ათასი ლარი).

დიაგრამა N 2 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2020/6 თვე



2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 1 202,27 ათასი ლარით, ანუ 15,3%-ით;
- საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 1 228.9 ათასი ლარით, ანუ 33.1 %-ით;
- გრანტების (სპეციალური ტრანსფერი) მოცულობა გაიზარდა 2 000.0 ათასი ლარი და შეადგინა 4 000,0 ლარი;
- სხვა შემოსავლები შემცირდა 26.63 ათასი ლარით, ანუ 16.9 %-ით.

ცხრილი N 10 აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2020/6თვე

ათასი ლარი

	გეგმა	**ფაქტი**	**გეგმის შესრ.%**	**გეგმასთან შედ.+/-**	**ხვ. წილი გადასახდ ელებთან %**
გადასახდელები – სულ მ.შ.	***9691,71***	***8472,55***	***87,42***	***-1219.16***	***100.0***
• შრომისანაზღაურება	4056,44	3783,96	93,28	-272.48	44.7
• საქონელი და მომსახურება - სულ მ.შ.	1539,41	1323,21	85,96	-216.2	15.6
– შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	763,02	739,21	96,88	-23.81	8.7
– მივლინებები	106,49	81,25	76,30	-25.24	1.0
– ოფისის ხარჯები	296,43	235,90	79,58	-60.53	2.8
– წარმომადგენლობითი ხარჯები	28,91	25,76	89,10	-3.15	0.3
– სამედიცინო ხარჯები	2,09	2,01	96,31	-0.08	0.02
– რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის, პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	2,57	1,87	72,65	-0.7	0.02
– ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	232,81	168,32	72,30	-64.49	2.0
– სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	107,09	68,89	64,33	-38.2	0.8
• სუბსიდია	2240,22	2076,01	92,67	-164.21	24.5
• გრანტები	5,0	3,0	60,0	-2.0	0.04
• სოციალური უზრუნველყოფა	976,32	744,54	76,26	-231.78	8.8
• სხვა ხარჯები	431,80	372,46	86,26	-59.34	4.4
• არაფინანსური აქტივების ზრდა	442,52	169,37	38,27	-273.15	2.0

ეკონომიკის სფერო

ბიზნეს სექტორი

2020 წლის I ნახევარში აფხაზეთის ა/რ ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საშუალოდ 1 534 კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა10 631,0 ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 1 155,1 ლარი.

დიაგრამა N 3 საშუალოთვიური ხელფასების შედარება 2020/6 თვე-2019/6თვე მოქმედ ფასებში



საშუალო თვიურმა ხელფასმა 2019 წელს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლეთან შედარებით მოიმატა 172,2 ლარით ანუ 17,5%-ით

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2020 წლის I ნახევარში ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 24,6 მლნ. ლარით.

დიაგრამა N 4 პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2020/6თვე-2019/6თვე



პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2019 წელს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 20,2 მლნ. ლარით ანუ 45%-ით

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (98,8%) მოდის ენერგეტიკაზე – 24,3 მლნ. ლარი, ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 296,6 ათასი ლარი.

2020 წლის I ნახევარში ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 1656,3 ათ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (2 003,5ათ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა347,2ათ.კვტ.სთ-ით ანუ 17,3%-თ.

დიაგრამა N 5 გამომუშავებული ელექტროენერგია 2020/6თვე-2019/6თვე



საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1174 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 320,7 ლარით, რაც 12,4 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 175,3 ლარი) შედარებით.

ქონების მართვა და პრივატიზება

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტის მიერ:

- განხორციელდა სახელმწიფო ქონების განკარგვის (როგორც მიღების, ასევე გადაცემის) 50-მდე პროცესი;
- შემუშავდა წინადადებები ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქ. N1-ში განთავსებული უძრავი ქონების რეგისტრაციაზე და სარგებლობის უფლებით გადმოცემაზე;
- სხვადასხვა უწყებებიდან მიღებულ და გადაცემულ იქნა 7 ავტომანქანა;
- შედგა ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15ა-ში სარდაფის სართულზე განთავსებული 900კვ.მ ფართის რეაბილიტაციის გეგმა;
- ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში განხორციელდა 18 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის გადმოცემა, რომელიც შემდგომ გადაეცა სსიპ ,,დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს *“;*
- საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ მიღებულ და დამუშვებულ იქნა 300-მდე კორესპონდენცია.
- მომზადდა აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს-ების 2019 წლის, 2020 წლის პირველი კვარტლის ფინანსური ანგარიშები;

- დასრულდა ქ. თბილისში განთავსებული აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული 3 პოლიკლინიკის გაერთიანების პროცესი;
- შემუშავდა:
  - წინადადებები 2019 წლის მოგების რეინვესტირებაზე;
  - სამედიცინო დაწესებულებების ,,ერთი ქოლგის ქვეშ" მოქცევის შესახებ;
- COVID-19 გავრცელებასთან დაკავშირებით თორმეტივე პოლიკლინიკა გადავიდა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე;
- პოლიკლინიკებს გადაეცა როგორც სპეც. აღჭურვილობა, ასევე მედიკამენტები; COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით შემუშავდა მუშაობის საგანგებო გეგმა, ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების შესაბამისი ფორმები;
- პოლიკლინიკებში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები;
- პოლიკლინიკებმა ადგილზე მიიღეს 2000-მდე ბენეფიციარი, ხოლო დისტანციური კონსულტაცია გაეწია 1648 ადამიანს.
- ზუგდიდისა და ჯვარის პოლიკლინიკა ახორციელებდაყოველდღიურ 24 საათიან მორიგეობას შსს თანამშრომლებთან ერთად ადმინისტრაციულ საზღვართან;
- სოფ. რუხში არსებულ მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრში, COVID-19 წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად, შეიქმნა მოხალისე მედიკოსთა სარეზერვო ჯგუფი 46 პირის ოდენობით;
- გამოვლენილი იქნა 150-ზე მეტი განსაკუთრებული რისკის მქონე პირი
- თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKATiflis) თბილისის პროგრამის საკოორდინაციო ოფისის მიერ დიაბეტის თემაზე დაგეგმილ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით შედგა აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებიდან მონაწილე პირთა ნუსხა (სულ 50 პირი) და განისაზღვრა ტრენინგის ჩატარების სამი ლოკაცია (ზუგდიდი, ქუთაისი, თბილისი).

საქართველოს მთავრობის N 975 განკარგულებით დამტკიცებული ,,კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციაზე სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის"თანახმად შედგა სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა ნუსხა აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებიდან და სსიპ აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოდან, ჯამში 266 პირი.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების მართვა

სანაგარიშო პერიოდში სამინისტრო მართავდა სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ 12 სამედიცინო პროფილის შპს-ს.

შპს-ების *ფაქტიურმა შემოსავლებმა* აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 1 137 179,0 ლარი, რაც გეგმიურ შემოსავლებზე (1 109 123,0 ლარი) 28 056,0 ლარით, ანუ 2,5%-ით მეტია, ხოლო 2019 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ შემოსავლებთან (1 158 643,0 ლარი) შედარებით 21 464,0 ლარით, ანუ 1,9%-ით შემცირდა. ფაქტიური შემოსავლებიდან შიდა სტანდარტით მიღებულმა შემოსავლებმა 221 531,0ლარი შეადგინა, 2019 წლის I ნახევართან (344 337,0 ლარი) შედარებით 122 806,0 ლარით,ანუ 35,7%-ით შემცირდა და მთელი შემოსავლების მხოლოდ 19,5% შეადგინა (2019 წლის I ნახევარში - 29,7%), რაც 10,2პროცენტული პუნქტით შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთარი შემოსავლების მკვეთრი შემცირება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამოწვეული იყო პაციენტთა მომართვიანობის შემცირებით, რაც პანდემიის თავიდან აცილების მიზნით იყო

გამოწვეული. კერძოდ, 2020 წლის პირველ ნახევარში მომართვიანობის რაოდენობა შეადგენდა 49 744-ს, ხოლო გასული წლის ანალოგიურ პერიოდში - 88 401-ს.

შპს-ების *მთლიანმა ფაქტიურმა დანახარჯებმა* 1 103 845,0 ლარი შეადგინა, ანუ გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელზე (1 043 274,0 ლარი) 60 571,0 ლარით მეტი, ხოლო 2019 წლის შესაბამის ფაქტიურ დანახარჯებთან (1 089 311,0 ლარი) შედარებით 14 534,0 ლარით, ანუ 3%-ით მეტი.

2020 წლის I ნახევარში დაგეგმილი იყო 65 849,0 ლარის მოგება, ფაქტიურად კი საწარმოების *ჯამური მოგების* თანხამ 35 923,0 ლარი შეადგინა, რაცდაგეგმილზე 29 926,0 ლარით, ანუ 45,4%-ით ნაკლებია. საანგარიშო პერიოდის ფაქტიური მოგება 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლთან (75 753,0 ლარი) შედარებით შემცირდა 39 830,0 ლარით ანუ 52,6%-ით.

საანგარიშო პერიოდი მოგებით დაასრულა 11-მა საწარმომ:

ლარი

დასახელება	**გეგმა**	**ფაქტიური მაჩვენებელი**	**% გემასთან**
შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი“	4 480,0	1 085,0	24,2
შპს „აფხაზეთიდან იგპ-თა ჯვარის ამბულატორია“	9 315,0	11 799,0	126,7
შპს „აფხაზეთიდან იგპ-თა ფოთის პოლიკლინიკა“	3 226,0	2 889,0	89,6
შპს „ზ.ხუბუტიას სახელობის დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი დიოსკურია“	6 472,0	3 146,0	48,6
შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“	7 325,0	6 053,0	82,6
შპს „აფხაზეთიდან იგპ-თა წყალტუბოს პოლიკლინიკა“	5 600,0	5 676,0	101,4
შპს სენაკის დევნილთა პოლიკლინიკა	3 400,0	1 825,0	53,7
შპს „აფხაზეთიდან იგპ-თა ხობის პოლიკლინიკა“	78,0	900,0	...
შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი - აფხაზეთი“	2 765,0	2 031,0	73,5
შპს დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ცხუმი“	1 055,0	162,0	15,4
შპს „აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი“	408,0	357,0	87,5
	44 124,0	***35 923,0***	***81,4***

ცხრილში ნაჩვენებია იმ შპს-ების ფაქტიური მოგების შედარება გეგმიურ მაჩვენებლთან, რომელთაც საანგარიშო პერიოდი დაასრულეს მოგებით.

საანგარიშო პერიოდი *ზარალით* დაასრულა შპს აფხაზეთიდან იგპ-თა ზუგდიდის პოლიკლინიკამ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 725,0 ლარისა, ზარალმაშეადგინა 2 589,0 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 100%-იანი წილით დაფუძნებულ შპს-ებში 2020 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დასაქმებული იყო 353 ადამიანი, რომელთა საშუალო თვიური ხელფასმა შეადგინა 352,64 ლარი. 2020 წლის 6 თვის განმავლობაში შრომის ანაზღაურების სახით გაიცა 762 848,0 ლარი, ხოლო რესპუბლიკურ ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით მიიმართა 139 837,0 ლარი.

საანგარიშო პერიოდში შპს-ების რენტაბელობის საერთო მაჩვენებელი 3,3%-მდე დავიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან (7,0%) შედარებით 3,7პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რენტაბელობის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება 10-11%.

ცხრილი N 11 საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2020/6თვე-2019/6თვე



აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტისმიერ საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულებები რეგიონების მიხედვით. დადგენილ იქნა ის ობიექტები, რომელიც მოითხოვდა გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

გაკეთდა საპროექტო სამუშაოები, დეფექტური აქტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა 12 ობიექტზე:

ობიექტი	სამუშაო	ღირ-ბა, ლარი
გარდაბნის რ-ნი, სოფ. ვაზიანის დასახლება	პურსაცხობის, საკვები და სოც.დარბაზის შენობის სანიტ.-ტექნ. მდგომარეობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასათვალისწ. ღონისძიებები	14 941.0
ხობის მუნიციპალიტეტის	აგროსერვისის ცენტრის სატრაქტორო პარკის ესკიზური	67 717.0

სოფ. ქვალონი	პროექტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	
თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ (ყოფ. 120 ბაგა-ბაღი)	დევნილთა კორპუსის ბრტყელი სახურავის სარემონტო სამუშაოების დეფექტური აქტი და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა	23 154.0
თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, მრევლიშვილის N17	4-სართულიანი კორპუსის წყალსაწრეტი მილებისა და წყალშემკრები არსების მოწყობა	7 199.0
რუსთავი,	3-სართულიანი სახლის სარემონტო სამუშაოების	18 746.0
ბოსტანქალაქის N1		
თბილისი, ც. დადიანის N134ა (ყოფ. რკინიგზის პროფ. სასწავლ.)	კორპუსის სველი წერტილების მონტაჟი და სარემონტო სამუშაოები	19 952.0
თბილისი, დ. დადიანის გამზ. N89/24, მე-13 სართ.	აღმ. საქართველოში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წამომადგენლობის ოფისის სარემონტო სამუშაოები	23 342.0
თბილისი, თამარაშვილის N15ა, სარდაფის სართული	აფხაზეთიდან იგპ-თა პოლიკლინიკის რეკონსტრუქციის პროექტი (აზომვითი ნახაზები)	
ა(ი)პ აფხაზეთის ა/რ საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი	ოფისის სარემონტო სამუშაოების მოსაწყობად ესკიზური ნახაზი, დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა	4 950.0
აფხაზეთის ა/რ ოჩამჩირელთა კავშირი, ფეხბურთის მუზეუმი ,,ერთობა“	სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა	2 700.0
თბილისი, ჭავჭავაძის ქ. იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზთის ა/რ მინისტრის აპარატი	ოფისის რეკონსტრუქციის პროექტი, დეფექტური აქტი და ხარჟთაღრიცხვა	104 834.0
თბილისი, წმინდა ილორის სახელობის ტაძარი	კეთილმოწყობის პროექტი (ხარჯთაღრიცხვის გარეშე)	
სულ		***287 535.0***

ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გადაეცა დამკვეთ ორგანიზაციებს.

სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“

საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნეს-ინკუბატორის“ სარგებლობაში არსებული ფართებიდან (17 727 კვ.მ) იჯარით დატვირთული იყო 8 429 კვ.მ. ,,ბიზნეს-ინკუბატორში“ სულ დასაქმებული იყო 22 პირი (აქედან 9 დევნილი), მათ შორის, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში დამატებით დასაქმდა დამატებით 10 ადამიანი. მოიჯარე კომპანიებში დასაქმებული იყო 100-მდე პირი, რომელთა შორის 21 პირი იყო დევნილი.

პერიოდულად ხორციელდებოდა დევნილთა დასაქმების მიზნით გადაცემული სასათბურე კონსტრუქციების მონიტორინგი. მოიჯარეებს დახმარება გაეწია შემოსავლების სამსახურში წარსადგენი ელექტრონული კითხვარების შევსებაში, უმეტესობამ სამუშაოს გაგრძელების ნებართვა ვერ მიიღო. მოიჯარეებმა (როგორც ფართების, ისე სასათბურე კონსტრუქციების მოიჯარე იურიდიული და ფიზიკური პირები) ბიზნეს-ინკუბატორს მიმართეს საიჯარო ხელშეკრულებების დროებით (შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებამდე) შეჩერებასთან დაკავშირებით.

COVID-19-თან დაკავშირებული მოვლენების შედეგად,მოიჯარეების მცირე ნაწილმა ნაწილობრივ, ხოლო სხვებმა, მიმდინარე წლის ივნისამდე, მთლიანად შეწყვიტეს ეკონომიკური საქმიანობა. ეს სიტუაცია აისახა ბიზნეს-ინკუბატორის შემოსავლების ნაწილში.2020 წლის 6 თვეში სახელმწიფო ქონების იჯარით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 32 264.0 ლარი, რაც გასული წლის მაჩვენებელთან (26 531.0 ლარი) შედარებით 5 733.0 ლარით, ანუ 21.6%-ით მეტია.გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართულმა თანხამ ჯამურად შეადგინა 17 216.0 ლარი (ქონების გადასახადი - 5 596.0 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 11 620.0 ლარი),რაც 2 914.0 ლარით, ანუ 20.4%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (14 302.0 ლარი). პერსონალის სახელფასო ფონდმა შეადგინა 82 400.0 ლარი, მათ შორის საგრანტო პროექტით - 39 300.0 ლარი.

აგრარული სფერო

საანგარიშო პერიოდში აგრარული მიმართულებით მუშაობდა საქვეუწყებო დაწესებულება - აგრარულ საკითხთა დეპარტამენტი, აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახური და სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტო“.

აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის საქმიანობა მიმართული იყო განსახორციელებელი აქტივობების მოსამზადებლად. ამ მიზნით სპეციალისტები მივლინებულ იყვნენ დასავლეთ საქართველოში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ინვაზიური სერვისების მიწოდებისა და მცენარეთა დაცვის ღონისძიებების დასაგეგმად, საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ხარისხიანად ჩატარების ორგანიზებისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის კონსულტაციების ჩატარების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის მიერ:

- აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური

კეთილსაიმედობის შენარჩუნების მიზნით, პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა 25 სახეობის 19 600.0 ლარის ღირებულების ვეტმედიკამენტები;

- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აფხაზეთის რეგიონალური სამმართველოს და დეპარტამენტის ერთობლივი მონაწილეობითოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს იმუნიზაცია (7000 დოზა ვაქცინა) თურქულზე;
- ჩატარებულ იქნა მონიტორინგი ოკუპირებული გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების რიგ სოფლებში ახალგაზრდა მოსავლიანი თხილის პლანტაციების ფართობების დასაზუსტებლად, რომელმაც შეადგინა დაახლოებით 1 500 ჰექტარი;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივ მოსახლეობას გაეწია რეკომენდაცია საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების თაობაზე;
- სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობით განხილულ იქნა „აზიური ფაროსანას, სხვა მავნებლებზე და დაავადებებზე ქიმიური ღონისძიებების ჩატარების“ მეთოდები, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმუნიზაციის ჩატარებისა და ვეტერინარული სერვისების მიწოდების გზებსა და მეთოდებზე.
- შესრულდა შრომატევადი სამუშაო საქართველოს რეგიონებში მუნიციპალიტეტების მიხედვით იგპ-თა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების დაზუსტება-შესწავლა, შემდგომში ელექტრონული ბაზის შექმნისა და სხვადასხვა აგრარულ პროექტებში და პროგრამებში მათი ჩართულობაში ხელშეწყობის მიზნით. პირველ რიგში დაზუსტდა და შესწავლილ იქნა ე.წ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის საკუთრებაში არსებული ფართობები. დამთავრდა კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მონაცემთა ბაზის შესწავლა, მიმდინარეობს იმერეთისა და გურიის რეგიონში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობაზე რიცხულ მიწის ფართობების მონაცემთა ბაზის დაზუსტება;
- შემუშავებული ფორმატის მიხედვით, პარარელურად მიმდინარეობს ოკუპირებული აფხაზეთის სოფლებში გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების შესწავლა-დამუშავება, მომავალში ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით. ინფორმაციის მოძიება-დამუშავება დამთავრებულია ოკუპირებული გალის რაიონის სოფელებში. დაწყებულია ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონებისა და გაგრის ზონის სოფლების ნაიდაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების ბაზის შექმნა;
- შემუშავდა და დასაბეჭდად მომზადებულია დაფნის კულტურის სანერგისა და პლანტაციის გაშენების აგროტექნიკა;
- მოძიებულ და დამუშავებულ იქნა ბოსტნეული კულტურების (პომიდორი, ბადრიჯანი, კარტოფილი) აგროტექნიკა;
- შესწავლილი იქნა მცხეთის რაიონის სოფელ წიწამურის ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა და ამ ნიადაგზე შესაძლო სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება;
- შემუშავებული და შედგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვალონში „აგროსერვისის ცენტრის“ ლოკალური ხარჯთაბრიცხვის ესკიზ-პროექტი;
- დევნილ მეფუტკრეებში და კოოპერატივის „კოდორი 2015“ საფუტკრეებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად 12 მეფუტკრეს ადგილზე ჩასვლით გაეწია რეკომენდაციები და ჩაუტარდა კონსულტაციები პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ჩასატარებლად;
- იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნითდეპარტამენტის სპეციალისტები, სსიპ „დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს“ სპეციალისტებთან ერთად,

მონაწილეობდნენ ,,აფხაზეთიდან დევნილთა საარსებო წყაროების უზრუნველყოფა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“ პროგრამის განხორციელებაში ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში;

- ,,მდ. ენგურის ე.წ გამყოფი ხაზის ორივე მხარეზე მცხოვრებ დევნილ ფერმერთა შემოსავლების ზრდის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც გულისხმობს დაბალმოსავლიანი ამორტიზირებული თხილის და სხვა მრავალწლიანი პლანტაციების შეცვლას მაღალპროდუქტიული, სხვადასხვა დაავადებებისა და ავდმყოფობის მიმართ უფრო გამძლე თანამედროვე ჯიშებით ჩანაცვლებას, საპილოტე ნაკვეთების გასაშენებლად მიმდინარეობდა ბენეფიციართა შერჩევის პროცესი როგორც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში განსახლებულ იგპ-ს შორის;
- მიმდინარეობდა დევნილი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე იმ მცენარეების აგროტექნიკის შესწავლა, რომელთა მოვლა-მოყვანა განზრახული აქვთ ბენიფიციარებს მათზე რიცხულ მიწის ფართობზე - გოჯი ბერი, ჟოლო, დაფნა და მოცვი.

სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა უწყებებთან ერთად დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობას იღებდნენ იგპ-თა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტების განხორციელების ორგანიზებასა და სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებში.

აგრარულ და დარგობრივ საკითხთა სამსახურის მიერ:

- შემუშავდა უალკოჰოლო სასმელების (4 სახისლიმონათი) პროექტები, რომელთა მიმართ გარკვეული დაინტერესება გამოიჩინეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე ბიზნესმენებმა;
- ინიცირებულ იქნა საგანმანათლებლო პროექტი „სოფლის მეურნეობის და მისი დარგების პოპულარიზაცია აფხაზეთის სკოლის მოსწავლეებში“;
- შედგენილია სარეკომენდაციო სახის პროექტები - „ხილის შრობა“, „ცუკატების წარმოება“, „ხილის ჩირებისა და კენკროვანი კულტურების გადამუშავება“ და „დაფნის საწარმო“
- შემუშავებულ იქნა ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის და ხილის ჩირებისა და კენკროვანი კულტურების გადამუშავების პრაქტიკული რეკომენდაციები იგპ-თა ფაქტიური საცხოვრებელი ფართების პირობებში
- მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც თავმოყრილია საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული შეღავათებიმცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარების მსურველთათვის.

საანგარიშოპერიოდშისამსახური მუდმივად აკვირდებოდასაერთაშორისო ორგანიზაციებისმიერ გამოცხადებულსაგრანტო კონკურსებსდა მის ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე ცდილობდა ისეთ ბენეფიციართაგამოვლენას, რომლებიც აკმაყოფილებენინვესტორთა მოთხოვნებს. აღნიშნული საქმიანობით მოკლე პერიოდში გამოვლენილიქნა რამდენიმეადამიანი,რომლებიცაკმაყოფილებდნენსაერთაშორისო ორგანიზაციაGRETA”-ს წაყენებულკრიტერიუმებსორგანულისოფლისმეურნეობის განვითარებისათვის.ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაშიგრანტის მოსაპოვებლად განაცხადი შეიტანა აფხაზეთიდან დევნილმა 2 პირმა.

გარდა ამისა, მიმდინარეობდა იმ იგპ-თა იდენტიფიცირება,რომლებსაცგააჩნდათ0.5 ჰა დამეტი სასოფლო-სამეურნეომიწის ნაკვეთებიშესაძლოპროექტებისგანხორციელებისმიზნით.აგრეთვემესაქონლეობის,მეკურ დღლეობის, მეფრინველეობისდამეთევზეობის მიმართულებებით დასაქმებული პირები,

რომლებიც საჭიროებენ ბიზნესისგაფართოებას.

2020 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში*სსიპ დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ* 3 მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაზე გათვალისწინებული იყო თანხა 61 400.0 ლარის ოდენობით:

კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებები ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა	25 000.0 ლარი
დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	6 400.0 ლარი
მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა	30 000.0 ლარი

კორონავირუსის COVID-19 გავრცელების პრევენციისათვის შემოღებულმა საგანგებო მდგომარეობამ წარმოშვა საქმიანობის პრიორიტეტების გადახედვის საჭიროება. შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად დაკორექტირდა მიმდინარე პროგრამები და დამტკიცდა დამატებით 6 ახალი პროგრამა:

დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება	450 000.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	19 000.0 ლარი
დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად	43 000.0 ლარი
,აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით	42 000.0 ლარი
„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“	71 000.0 ლარი
„კოლხური ბზის გადარჩენის ღონისძიებები ფარგლებში საბაზისო სანერგე მეურნეობის ფუნქციონირება და დევნილი ახალგაზრდებისათვის ეკოსაგამანთლებლო სივრცის მოწყობა“	7 000.0 ლარი
„დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები	6 400.0 ლარი
„მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“	75 000.0 ლარი
„დევნილთა საარსებო წაყროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა მარტივი ტიპის სათბურების რეაბილიტაცია-ფუნქციონირების გზით“	12 000.0 ლარი

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- პროგრამის *„დევნილთა მოწყვლადი ჯგუფების დახმარება“* ფარგლებში კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები მაღალი რისკ ჯგუფში შემავალი 70 წელს ზემოთ

პირების დახმარების მიზნით გამოყოფილ იქნა 450 000.0 ლარი. შეძენილ იქნა 9 000 სასურსათო კალათა და სააღდგომო ნობათი, რომლის განაწილება საქართველოს მასშტაბით განახორციელა აფხაზეთის ა/რ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრომ.

დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ
სასურსათო კალათა	9 000	36.05	324 150.0
სააღდგომო ნობათი	9 000	9.0	81 000.0
ტრანსპორტირება			7 600.0
შესაფუთი მუყაოს ყუთები			2 635.0
სპეცჟილეტები			600.0
პოლიეთილენის პაკეტები			240.0
ჟილეტებზე ბეჭდვა, კეპები, სტიკერები			1 460.0
სულ ხარჯი			***417 985.0***

ამავე პროგრამის ფარგლებში, თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA TIFLIS) მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთის - 20 ტონა პურის ფქვილის და შესაბამისი ინგრედიენტების მეშვეობით განხორციელდა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისათვის 60 ათასი პურის ცხობა და გადანაწილება ქ. თბილისში განთავსებულ დევნილთა 43 კოლექტიურ ცენტრში. აღსანიშნავია, რომ ცხობა განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაზიანში ამავე სააგენტოს მიერ მოწყობილ პურის საცხობში შპს „ელ-გამას“ მიერ. პროგრამის ბენეფიციარი იყო 8 000 დევნილი ოჯახი. აქტივობაზე გამოყოფილ იქნა 23 875.0 ლარი.

- პროგრამის *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით“* ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რიყეში შემოიღობა და დამუშავდა სააგენტოს ბალანსზე არსებული 8 ჰა მიწის ფართობი, დაითესა სიმინდი. პროგრამის ბენეფიციარი იყო 7 დევნილი ოჯახი;
- პროგრამის *„აფხაზეთიდან დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა ერთწლიანი კულტურების წარმოების გზით"* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა სააგენტოს ბალანსზე არსებული 18 ჰა მიწის ფართობი, დამუშავდა 10 ჰა და დაითესა სიმინდი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოვლა-პატრონობის სამუშაოები, დასაქმდა 5 დევნილი. პროგრამის ბიუჯეტიდან ათვისებულ იქნა 34 700.0 ლარი;
- პროგრამის *„მაღალეფექტური მრავალწლიანი კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი) წარმოების განვითარების ხელშეწყობა“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ზემო ქვალონში შემოიღობა 30 ჰა მიწის ფართობი, მოცვის გაშენებისათვის დამუშავდა 10 ჰა. ამჟამად გრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დასაქმდა 5 ბენეფიციარი;
- პროგრამის *„დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობა-ფუნქციონირების შედეგად“* ფარგლებში დაგეგმილი იყო ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში დაფნის პირველადი გადამუშავების საამქროს მოწყობისათვის ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. მომზადდა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია, აღებულ იქნა სამშენებლო ნებართვა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „ალფა-8“ შეასრულა სატენდერო პირობები და დასრულდა შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია. ამჟამად მიმდინარეობს

კონსულტაციები კოოპერატივ „ლავრ-ჯორჯოა“-სთან, რომელიცუზრუნველყოფს საამქროს სამუშაო აღჭურვილობის შეძენას და 12-მდე დევნილის დასაქმებას;

- პროგრამის *„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა მრავალწლიანი კულტურის წარმოება-რეალიზაციის შედეგად“* ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ხამისქურში სააგენტოს ბალანსზე არსებულ მიწის ფართობზე მიმდინარეობს დაფნის სანერგის მოწყობის სამუშოები. გაფორმდა ხელშეკრულება;
- პროგრამის *„დევნილთა კოლექტიურ ცენტრში კეთილმოწყობისა და გამწვანების ღონისძიებები“* ფარგლებში 2019 წლის ბოლოს შეძენილი კარკასული აუზისათვის მოეწყო საძირკველი, გაკეთდა საშხაპე, მოეწყო წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ქსელი. პროგრამა შესრულებულია.

აღსანიშანავია, რომ საგანგებო მდგომარეობის გამო, ყველა შესყიდვა, გარდა მშენებლობისა, განხორციელდა გამარტივებული პროცედურით. მიღებული იქნა შესაბამისი ნებართვები სრულ შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობასთან.

გეოლოგია და გარემოს დაცვა

სსიპ „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“მიერ 2020 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ,,აფხაზეთის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მონიტორინგი. აფხაზეთის გეოლოგიური ფონდური მასალის სისტემატიზაცია და ანალიზი, მინერალური რესურსების საბადოების ეკონომიკური შეფასება, გეოინფორმაციული პაკეტების შექმნა და მინერალური რესურსების უკანონო მოპოვების მონიტორინგი თანამედროვე დისტანციური მეთოდებით“;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგების ანალიზი, მართვის სტრატეგია და სენსიტიურ უბნებზე პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მეთოდები;
- დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში კომპლექსური კვლევების ჩატარება, გასატარებელი ღონისძიებებისა და სადეზინფექციო სამუშაობის ჩატარება;
- აფხაზეთის საჯარო სკოლებში სემინარების ჩატარება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან ეკოსაგანმანათლებლო სემინარების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შესწავლილი იქნა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს გეოლოგიურ ფონდებში არსებული მასალა სოხუმის და სოხუმის რაიონის მინერალური და თერმული წყლების შესახებ. მასალა ნათარგმნი იქნა ქართულ ენაზე, გაკეთებულ იქნა ანალიზი და შეიქმნა გეოლოგიური საინფორმაციო პაკეტი;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლის ოკუპირებული აფხაზეთის მონაკვეთზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგების ანალიზი;
- კვლევები ბზიფის დინამიკური რაიონის საზღვრების ფარგლებში (უბნები 2, 3 და 3ა);
- აფხაზეთის სასარგებლო წიაღისეულის მინერალურ-რესურსული ბაზის შექმნა (წიაღისეულის სამრეწველო მარაგები და პროგნოზული რესურსები). კეთდება დეტალური საინფორმაციო-გეოლოგიური პაკეტები ყველა საბადოსა და გამოვლინებაზე

(მეტალური და არამეტალური საბადოები, თერმული და სასმელი წყლები, ქვანახშირი და ნავთობი);

- კომპლექსური კვლევები დევნილთა კომპაქტური განსახლების 15 ობიექტში;
- მომზადდა შესაბამისი გეოეკოლოგიური, საინჟინრო, გეოლოგიური დასკვნები. შედგა დეფექტური აქტები და ხარჯთაღრიცხვა;
- შეიქმნა აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტების მონაცემთა ბაზა, სადაც აისახა 1323 ობიექტის დასახელება, მისამართი, რეგისტრირებული ოჯახების და დევნილების რაოდენობა. გადამზადდა 14 თანამშრომელი.

COVID-19 გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩატარდა პრევენციული ღონისძიებები:

- ქ. თბილისში სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილთა 204 ობიექტზე, სულ 134 475 კვ. მ (12 500-ზე მეტი ოჯახი);
- ქ. ხონში დევნილთა დასახლებაში ჩატარდა 17 საცხოვრებელ კორპუსის, მ. შ. სპორტდარბაზის, საბავშვო მოედნის და კლუბის დეზინფიცირება, სულ 4500 კვ.მ (5000-ზე მეტი ოჯახი).

გარემოს დაცვის მიმართულებით სააგენტომ მონაწილეობა მიიღო:

- გარემოსდაცვითი და კონფლიქტების დარეგულირების საკითხების შესახებ სემინარებსა და ვებინარებში, აგრეთვე სემინარში პედაგოგებისთვის თემაზე - ”გარემოსდაცვა და პანდემია”;
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ვებინარში, რომელიც შეეხებოდა ნარჩენების მართვას და განხილულ იქნა დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში ნარჩენების მართვის ხელშეწყობის საკითხი;
- ონლაინ შეხვედრაში ლენდის უნივერსიტეტის პროფესორ ტომას ლინდოვისტთან. სემინარის თემა იყო „ ცირკულარული ეკონომიკა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ნარჩენების სეპარირების დანერგვა“;
- აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ აქციაში,,შემოქმედებითი ზაფხული“, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვის მნიშვნელობასა და მის გავლენაზე დღევანდელ მსოფლიოზე. დარიგდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ,,დედამიწის მეგობრები'' მიერ გადმოცემული საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის ბუკლეტები.